საპარლამენტო ფრაქცია

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური

პლატფორმა

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება“ არის საერთო პოლიტიკური მიზნების მიღწევისათის შექმნილი საქართველოს პარლამენტის წევრთა ნებაყოფლობითი გაერთიანება.

ფრაქცია „ქართული ოცნება“ თანამშრომლობს ყველა იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც ემხრობა როგორც პოლიტიკურ პლატფორმაში გადმოცემულ დებულებებს, ასევე სხვა საერთო-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან მისაღებ წინადადებებს.

ფრაქცია „ქართული ოცნება“ ესწრაფვის პოლიტიკური ძალების უმრავლესობის ურთიერთთანხმობით და ხალხის ნებით ქვეყანის სამომავლო განვითარების პოლიტიკის განსაზღვრასა და მის შემდგომ განუხრელ განხორციელებას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება:

- ეროვნული კონსოლიდაცია, ქვეყნის შიდაპოლიტიკური სტაბილურობა და პროგრესი;

- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებების დაცვის მექანიზმების ამოქმედება;

- სახელმწიფო ხელისუფლების მექანიზმის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამართლიანი, დემოკრატიული და ეფექტიანი ფუნქციონირება;

- მთავრობის როგორც უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება პარლამენტის წინაშე; მთავრობის ფორმირებისა და გადაყენების პროცესში საპარლამენტო პოლიტიკურ ძალებთა უმრავლესობის გადამწყვეტი მონაწილეობის შესაძლებლობა და ქმედითი კონტროლი მის საქმიანობაზე;

- კონსტიტუციური სისტემისა და შესაბამისად, ქვეყნის სრული პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა;

- ადამიანის ძირითადი უფლებებისა და ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესებში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა;
- დასაქმების ხელშეწყობა;
- საჯარო სამსახურის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა;

- ქვეყნის ისტორიული ფასეულობების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- ეროვნული და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა და სახელმწიფოებრივ სივრცეში მათი სრულფასოვანი ინტეგრაცია;
- ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისა და რეგიონალური თანამშრომლობის განვითარებისაკენ მიმართული საგარეო ურთიერთობათა კურსის გატარება;
- ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და შიდა კონფლიქტების მოგვარება;
- სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობა პოლიტიკური ნებისაგან და საქმეთა გადაწყვეტის დამკვიდრება კანონის უზანაესობის პრინციპზე ადმინისტრირების პროცესის სრული გამჭვირვალობა და მართლმსაჯულების მთელი პროცესის საჯაროობა. საქმის განხილვის ღიაობა და პროცესის გაშუქების უფლება, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების ღიაობა;

- ბეჭდური და ელექტრონული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფუნქციობის გამჭვირვალობა, პოლიტიკური ცენზურისაგან დაცულობა, სარედაქციო დამოუკიდებლობა და ფართო საზოგადოებისათვის თანაბრად ხელმისაწვდომობა, მათ შორის, აგრეთვე, საზოგადოებრივი მაუწყებლის სტაბილური საქმიანობის სახელმწიფო გარანტიების არსებობა და მის მართვაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ნრეების ფართო ჩართულობა.

- ამომრჩეველთა ნებისა და არჩევნების სამართლიანი შედეგის დადგომის შესატყვისი გამჭვირვალე საარჩევნო სისტემა, ამომრჩეველთა სანდო სიების არსებობა, საარჩევნო სუბიექტების ჯეროვანი დაფინანსება, მათთვის მედიის თანაბრად მისაწვდომობა, ადმინისტრაციული რესურსის ნეიტრალურობა;

- პოლიტიკურ ძალებს შორის კონკურენციისათვის თანასწორი პირობებისა და ცივილურ ურთიერთობათა შეთანხმებული წესების არსებობა;

- ქვეყნის მართვა-გამგეობაში პოლიტიკური ძალების ფართოდ წარმოდგენის შესაძლებლობა;

- პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში ოპოზიციის (საპარლამენტო უმცირესობის) მონაწილეობის ქმედითი მონაწილეობის გარანტიები;

- სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჰუმანიზაცია, არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების ფართო სისტემის შემოღება და საპროცესო შეთანხმებათა გამოყენების დაუშვებლობა ფისკალური მიზნებისათვის;

- სასჯელაღსრულების სისტემის გამჭვირვალობა და პატიმრების უფლებათა დაცვა, წინასწარი დაკავებისა და საპატიმრო დაწესებულებებში მყოფი პირების უზრუნველყოფა ადამიანური პირობებით;

დევნილთა და ეკომიგრანტთა კანონიერი ინტერესების დაცვა;

- ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო განთლება და სოციალური ინტეგრაცია ერთიან ქართულ საზოგადოებაში;

- ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა საქართველოს საშინაო ინტერესებიდან გამომდინარე;

- ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია და ამ პროცესის დაფუძნება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრინციპზე და არსებული გეოპოლიტიკური მდებარეობის ეფექტიანად გამოყენება;

- საქართველო ქცევა საერთაშორისო თანამეგობრობისათვის საიმედო და პროგნოზირებად პარტნიორად;

- ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც საქართველოს მთავარ მოკავშირესთან, ურთიერთობათა წარმართვა სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით განსაზღვრული პირობების თანახმად;

- ეკონომიკური პოლიტიკის დაფუძნება მდგრადი განვითარების მოდელზე;

- სისტემური ტრანსფორმაციის პროცესში სახელმწიფოსათვის საკვანძო როლის მიენიჭება, რომელმაც უნდა განსაზღვროს განვითარების სტრატეგია უმთავრესი მიზნებისა და შესაბამისი ინდიკატორების დონეზე;

- ეკონომიკის სტრუქტურული მოდერნიზება საქართველოს ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად, რაც დაემყარება ქვეყნის შედარებითი უპირატესობების გონივრულ გამოყენებას. განხორციელდება ექსპორტის სტიმულირება და იმპორტის ჩანაცვლება,რაც სტრუქტურული მოდერნიზაციის განუყოფელი ნაწილია;

- სახელმწიფომ უზრუნველყოს სამართლიანი, თავისუფალი და კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნა;

- თანამედროვე და მოქნილი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელზეც თანაბრად მიუწვდება ხელი ყველა ეკონომიკურ სუბიექტს.

- საჯარო ფინანსების მართვაში ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრდება;

- სოფლის მეურნეობის განითარების პრიორიტეტულად გამოცხადება და სასოფლო–სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვანად გაზრდა, რაც უზრუნველყოფს საქართველოს შრომითი რესურსების დიდი ნაწილის სტაბილურ შემოსავალს, აგრეთვე საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებასა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდას;

- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების უზრუნველყოფა, რაც ქვეყნას გამოიყვანს, ეკონომიკური კრიზისიდან, შეამცირებს უმუშევრობას და დასძლევს სიღარიბეს, გააუმჯობესებს სოციალურ ფონს დაჩამოაყალიბებს ძლიერ და საშუალო ფენას;

- ბაზრის განთავისუფლება ხელოვნური მონოპოლიებისაგან, რომლებიც ხელს უშლიან თავისუფალ მეწარმეობას და ითვისებენ შინამეურნეობების შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს პირველადი მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე არარეალურად მაღალი ფასების დაწესებით;

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკის წარმართვა მთლიანად ადამიანის სოციალურ უფლებებათა უზრუნველყოფაზე დაფუძნებით;

- უნარშეზღუდულების, ვეტერანების, ღარიბებისა და უმუშევრების სოციალური დაცვა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა, ნარკომანებისა და ალკოჰოლდამოკიდებულების სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაცია;

მიწათსარგებლობის საკითხების დარეგულირება. მიწაზე საკუთრების დაცულობის მკაფიო გარანტიების შექმნა. სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების სამართლებრივი და ტექნიკური ასპექტების მოწესრიგება. მიწების პასპორტიზაცია;

- სასოფლო-სამეურნეო სექტორის მომსახურებითა და ნედლეულით უზრუნველყოფა; გლეხი (ფერმერი) შეძლებს სარწყავი და სადრენაჟე სისტემებით, ტექნიკით, ვეტერინარული მომსახურებით, აგრეთვე მოსავლის აღების შემდეგ საჭირო ტექნოლოგიებით (გადამუშავება, შენახვა, დაფასოება) სარგებლობას, ხარისხიანი სათესლე-სანერგე მასალების, სასუქების, მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და პირუტყვის საკვების გამოყენებას. მომსახურების გაწევისა და მასალა-საშუალებების მიწოდების დროს გათვალისწინებული იქნება როგორც კომერციალიზაციის, ისეხელმისაწვდომობის პრინციპების დაცვა სახელმწიფოს მხარდაჭერით, ცალკეული რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიქმნება სასოფლოსამეურნეო მომსახურების ცენტრები;

- სახელმწიფო პროგრამის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში ბიოაგროწარმოების განვითარებას;

- მცირე და საშუალო ფერმერების უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი ფინანსებით.

- სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაზრდა;

- აგრარული პოლიტიკის ორიენტირება სასოფლო-სამეურნეო სექტორში პროდუქციის

წარმოების მოცულობის მკვეთრ ზრდაზე.

- მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა, მოქალაქეთა შრომითი უფლებების, მათ შორის, საჯარო მოხელეთა უფლებების დაცვის გარანტიები;

- საგადასახადო კანონმდებლობის მდგრადობა, მეწარმე-გადამხდელთა ინტერესების შესაბამისი გადასახადების შემოღება-ამოქმედებისა და მათი ადმინისტრირების სამართლიანი წესები;

- საკუთრების უფლების დაცვა, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის, ანტიმონოპოლიური ქმედითი მექანიზმების არსებობა;

ამ საკითხებზე საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება" შეიმუშავებს წინადადებებს ფართო საზოგადოებისათვის გაცნობის მიზნით, მათი კანონპროექტების სახით პარლამენტში ინიცირებისათვის.

ფრაქციის თავმჯდომარე: ზაქარია ქუცნაშვილი

21 ოქტომბერი, 2012 წელი